დანართი N1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„ამბროლაურის კულტურის ცენტრი“-ს

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ამბროლაურის კულტურის ცენტრი“-ს (შემდგომში - ,,ცენტრი”) არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” საფუძველზე.

1.2. ცენტრის დამფუძნებელია ამბროლაურის მუნიციპალიტეტი (ს/კ 222938490) იურიდიული მისამართი ქ. ამბროლაური ბრატისლავა-რაჭის ქ.N11.

მუხლი 2. სახელწოდება, იურიდიული მისამართი და სტატუსი

2.1. ცენტრს ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონით “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-თ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი”-თ, ამ წესდებით და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.2. ცენტრის სრული სახელწოდებაა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ამბროლაურის კულტურის ცენტრი“.

2.3. ცენტრის იურიდიული მისამართია: ქ. ამბროლაური, მ.კოსტავას ქუჩა N36.

2.4. ცენტრს გააჩნია იურიდიული პირის ყველა ატრიბუტი, ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები და სხვა.

2.5. ცენტრის ელექტრონული მისამართია: ელ.ფოსტა ambrolauriskulturissaxli@gmail.com.

ტელეფონი 555 325 222

მუხლი 3. კულტურის ცენტრის მიზნები

3.1. კულტურის ცენტრის მიზნებია:

3.1.1. კულტურის სფეროს განვითარების მიზნით პროექტების და წინადადებების შემუშავება და შესაბამისი ღონისძიების განხორციელება;

3.1.2. მასობრივი ღონისძიებების ჩატარების კოორდინაცია და ხელშეწყობა;

3.1.3. ადგილობრივი ფოლკლორისა და ხალხური ტრადიციების შენარჩუნება, განვითარება, დაცვა.

3.1.4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მემკვიდრეობის დაცვა და ამ მიზნით მისი სისტემატიური შემოწმება, ძეგლის და ძეგლის ნიმუშის მქონე ობიექტების გამოვლენა, მათი აღრიცხვა.

3.1.5. ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლების რეაბილიტაციისთვის ხელშეწყობა;

3.1.6. ადგილობრივი ფოლკლორისა და ხალხური ტრადიციების მოძიება-აღდგენა-შენარჩუნება.

3.1.7. მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში მასიური მონაწილეობა, სადღესასწაულო ღონისძიებების მომზადება;

3.1.8 საბიბლიოთეკო სტანდარტების დაცვა, საზოგადოების, ახალგაზრდობის წიგნით დაინტერესება;

3.1.9. შემოქმედებითად მოღვაწე ადამიანების, ახალგაზრდების გამოვლენა;

3.1.10. საბიბლიოთეკო სამსახურში მასიური ღონისძიებების - პოეზიის, მხატვრული კითხვის, ხალხური შემოქმედების საღამოებისა და შეხვედრების მოწყობა;

3.1.11. ნიშნულების დადგმა.

მუხლი 4. კულტურის ცენტრის საქმიანობის ფორმები

4.1 კულტურის საქმიანობის ფორმებია:

4.1.1. კულტურის ცენტრში არსებული რესურსების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერიოდული განახლება და მაქსიმალურად გამოყენება;

4.1.2. კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით საჭირო წინადადებებისა და პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების უზრუნველყოფა.

4.1.3. სისტემატიური მუშაობა კულტურის ცენტრის თანამშრომლებთან მათი უფლებამოვალეობების დაცვისა და განხორციელებისათვის, შრომითი ხელშეკრულების გაფორმება თითოეულ თანამშრომელთან და ზრუნვა მათი ოპტიმიზაციისათვის;

4.1.4. ხელოვნებისა და კულტურის სხვადასხვა დარგების შემსწავლელი ფასიანი ჯგუფების შექმნა.

მუხლი 5. კულტურის ცენტრის სტრუქტურა

5.1. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი.

5.2. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ცენტრის ერთ-ერთი თანამშრომელი.

5.3. ცენტრის დირექტორი:

5.3.1. წარმართავს და ორგანიზებას უწევს ცენტრის საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

5.3.2 ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს ცენტრის ბიუჯეტს, საშტატო განრიგს და სტრუქტურას;

5.3.3. „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ დადგენილი წესით ცენტრის თანამშრომლებთან აფორმებს და წყვეტს შრომით ხელშეკრულებებს. იღებს გადაწყვეტილებებს ცენტრის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინალური პასუხისმგებლობის შესახებ;

5.3.4. მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით უფლებამოსილია შეიძინოს ცენტრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ძირითადი ქონება;

5.3.5. დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

5.3.6. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით;

5.3.7. ახორციელებს ცენტრის ფინანსური რესურსების მართვას და პასუხს აგებს მათ სწორად გამოყენებაზე;

5.3.8. მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ცენტრს ყველა ორგანიზაციაში, დაწესებულებასა და საწარმოში თავის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებში, გასცემს მინდობილობებს;

5.3.9. თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს (ბრძანებებს), განსაზღვრავს ცენტრის შინაგანაწესს და ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს;

5.3.10. მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს წინადადებას ცენტრის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ;

5.3.11. წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული კანონით.

5.3.12. ამტკიცებს სახელმძღვანელო ინსტრუქციებს კულტურის ცენტრის საქმიანობის ეფექტური განხორციელების მიზნით;

5.3.13 კულტურის ცენტრი საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს მერს წლის განმავლობაში ორჯერ, მიმდინარე წლის 10 ივლისამდე და მომდევნო წლის 10 იანვრამდე, აგრეთვე ყოველი საანგარიშო კვარტლის დასრულებიდან მომდევნო თვის 10 რიცხვამდე

წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციას.
5.3.14 ყოველი წლის ბოლოს ადგენს ანგარიშს ცენტრის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ;
5.3.15.ახორციელებს ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მართვას.
5.4. ცენტრის კონტროლს ახორციელებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი, მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მეშვეობით.
5.5. კულტურის ცენტრის სტრუქტურული ერთეულები და მათი კომპეტენცია:
5.5.1. კულტურის სამსახური:
5.5.1.1. ფოლკლორის, თეატრის, ქორეოგრაფიის, მუსიკის და ხალხური ხელოვნების დარგების განვითარება, ტრადიციების შენარჩუნება დაცვა და პოპულარიზაცია;
5.5.1.2. მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში მასიური მონაწილეობა, ღირსშესანიშნავი სადღესასწაულო ღონისძიებების მომზადება;
5.5.1.3. ფასიანი, გასვლითი კონცერტების მომზადება, მათი ხარისხიანობის უზრუნველყოფა.
5.5.2. საბიბლიოთეკო სამსახური:
5.5.2.1. საბიბლიოთეკო სტანდარტების დაცვა, საზოგადოების, ახალგაზრდობის წიგნით დაინტერესება;
5.5.2.2. შემოქმედებითად მოღვაწე ადამიანების, ახალგაზრდების გამოვლენა;
5.5.2.3. საბიბლიოთეკო სამსახურში მასიური ღონისძიებების - პოეზიის, მხატვრული კითხვის, ხალხური შემოქმედების საღამოებისა და შეხვედრების მოწყობა.
5.5.3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური:
5.5.3.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მემკვიდრეობის დაცვა და ამ მიზნით მისი სისტემატიური შემოწმება;
5.5.3.2. ძეგლის და ძეგლის ნიმუშის მქონე ობიექტების გამოვლენა, მათი აღრიცხვა.
5.6. კულტურის ცენტრი შედგება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო კლუბებისაგან (ხიდიკარი, ჩორჯო, ჭრებალო, ნიკორწმინდა, ხოტევი, ლიხეთი).
5.7.კულტურის ცენტრი შედგება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ბიბლიოთეკებისაგან:
5.7 1. ქ. ამბროლაურის ბიბლიოთეკა:
5.7.1.1. გურამ ფანჯიკიძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა.
5.7.1.2. ზურაბ ჯაფარიძის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკა.
5.7.2. მასობრივი სასოფლო ბიბლიოთეკები - ნიკორწმინდა, ლიხეთი, ხიდიკარი, სადმელი, ბოსტანა, მეორე ტოლა, პირველი ტოლა, ბუგეული, ჭრებალო, ხვანჭკარა, ხონჭიორი, ჭელიაღელე, ქვიშარი, ღადიში, ველევი, სხვავა, ხოტევი, ზნაკვა, აბარი, ჯვარისა, ჟოშხა, კაჩაეთი, პატარა ონი, ჭყვიში, ჩორჯო, აბანოეთი, წესი.

მუხლი 6. კულტურის ცენტრის ქონება და ფინანსები
6.1. კულტურის ცენტრის ქონებრივი და ფინანსური წყაროებია:
6.1.1. შესაბამისი ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი სუბსიდიები;
6.1.2. გრანტები;
6.1.3. შემოწირულობები;
6.1.4. ფასიანი სწავლებიდან მიღებული სახსრები.
6.1.5. კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული სხვა ქონებრივი და ფულადი სახსრები;
6.2. მიღებული სახსრები კულტურის ცენტრმა უნდა გამოიყენოს საწესდებო მიზნების მისაღწევად;
6.3. კულტურის ცენტრს შეუძლია მიღებული შემოსავლების საფუძველზე შექმნას სარეზერვო და სხვა დანიშნულების ფონდები;

6.4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

6.5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს. ქონების გასხვისებას საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

მუხლი 7. ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

7.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით წესით, რაზედაც გადაწყვეტილებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

7.2. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

7.3. დამფუძნებელთა გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

7.4. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირს განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

7.5. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

7.6. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

7.7. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების

მქონე პირი.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

8.2. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი ზვიადი მხეიძე

Zviadi Mkheidze

Digitally signed by Zviadi Mkheidze
Date: 2023.11.10 15:35:48 +04'00'